ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

10 მარტი 2026

N188821

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს ,,Packworld"-ისთვის ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2025 წლის 4 დეკემბრის N188038 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

შპს ,,packworld"-ის (ს/ნ - 404887431) (შემდგომ - სუბიექტი) მიერ 2024 წლის საანგარიშებო პერიოდის ანგარიშგება, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს (შემდგომ - სამსახური) წარედგინა 2025 წლის 25 აგვისტოს. აღნიშნული ანგარიშგების თანახმად დგინდება, რომ სუბიექტი მოცემული საანგარიშგებო პერიოდის მიზნებისთვის წარმოადგენდა III (მესამე) ზომითი კატეგორიის საწარმოს.

სამსახურმა უზრუნველყო საწარმოს მიერ წარდგენილი ანგარიშგების კანონითა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება და კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის საფუძველზე სუბიექტის მიმართ გაცემულ იქნა ,,შპს ,,Packworld"-ის მიერ წარდგენილ ანგარიშგებაზე ხარვეზის დადგენის შესახებ'' სამსახურის უფროსის 2025 წლის 3 სექტემბერის N 150690 ბრძანება და საწარმოს დაევალა დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრა აქტის გაცნობიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

,,შპს ,,Packworld"-ის მიერ წარდგენილ ანგარიშგებაზე ხარვეზის დადგენის შესახებ'' სამსახურის უფროსის 2025 წლის 3 სექტემბერის N 150690 ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში კორექტირებული ანგარიშგების წარუდგენლობის საფუძველზე სუბიექტის მიმართ გაცემულ იქნა ,,შპს ,,Packworld"-ისთვის წერილობითი გაფრთხილების სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ'' სამსახურის უფროსის 2025 წლის 20 ოქტომბრის N151122 ბრძანება. სუბიექტი მის მიმართ გაცემულ ბრძანებას გაეცნო 2025 წლის 21 ოქტომბერს, ხოლო კორექტირებული ანგარიშგება წარმოადგინა 2025 წლის 24 ნოემბერს.

სამსახურმა უზრუნველყო საწარმოს მიერ წარდგენილი ანგარიშგების კანონითა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გადამოწმება და წარმოდგენილ ანგარიშგებაში კვლავ დაადგინა კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა. აღნიშნულის საფუძველზე, სუბიექტის მიმართ გაცემულ იქნა ,,შპს ,,Packworld"-ისთვის ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ'' სამსახურის უფროსის 2025 წლის 4 დეკემბრის N 188038 ბრძანება, რომლის მიხედვითაც სუბიექტს დაეკისრა ფულადი ჯარიმი - 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: ,, ამ კანონის მე-3 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების წარმოებისა და კონსოლიდაციის წესების, მე-7 მუხლის, მე-8 მუხლის, მე-9 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებისა და მე-16 მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნების შეუსრულებლობა ან/და აუდიტორული შემოწმების ჩატარებისათვის თავის არიდება გამოიწვევს სუბიექტის დაჯარიმებას“ - მესამე კატეგორიის საწარმოსთვის - 1 000 ლარის ოდენობით.

ადმინისტრაციული ორგანოს სისტემის თვითკონტროლის მიზნით, სამსახურმა უზრუნველყო წარმოების დაწყება და მის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებ(ებ)ის გადასინჯვა. სამსახურმა გამოიკვლია სუბიექტის მიმართ გაცემული ,,შპს ,,Packworld“-ისთვის ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ'' სამსახურის უფროსის 2025 წლის 4 დეკემბრის N 188038 ბრძანება და აღნიშნული წარმოების საფუძველზე, სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის 2026 წლის 20 თებერვლის N 14184-16 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად ანგარიშგების ვებგვერდის დროებითი ტექნიკური ხარვეზიდან გამომდინარე, სუბიექტს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტით გათვლისწინებული 1 000 (ათასი) ლარის ნაცვლად, შეცდომით დაეკისრა ფულადი ჯარიმა - 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს ,,Packworld“-ისთვის ფულადი ჯარიმის სახით პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ'' სამსახურის უფროსის 2025 წლის 4 დეკემბრის N188038 ბრძანებაში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,1. სუბიექტს დაეკისროს ჯარიმა 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით;“

2. აღნიშნული ბრძანება ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით მჭედლიძე

სამსახურის უფროსი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური